

ინფორმაციური სალოტორო პროგრამის დასახელება: საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში (Ph.D in Management Information Systems)

სალოტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი მურთაზ მადრაძე

სალოტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს სათანადო კვალიფიკაციის კადრები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება საზოგადოების ინფორმატიზაცია და ჩვენი ქვეყნის მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში გაერთიანება. ფილოსოფიის დოქტორებმა საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში უნდა შეისწავლონ მსოფლიოში ინფორმატიზაციის დარგში არსებული გამოცდილება, გამოიკვლიონ ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემები, შეიმუშაონ მათი გადაწყვეტის გზები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინფორმატიზაციისთვის საჭირო კადრების მომზადებაში.

- **პროგრამის შედეგი:**

დარგობრივი კვალიფიკაცია – საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის სალოტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში. მესამე საფეხურის კურსდამთავრებულები ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა საზოგადოების ინფორმატიზაციის სფეროში, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ფილოსოფიის დოქტორს საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო,

პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება. ფილოსოფიის დოქტორმა საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში უნდა იცოდეს:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები, ხერხები და შესძლოს მათი გამოყენება პროფესიონალური ფუნქციების შესრულებისას ;
- გადააფასოს დაგროვილი გამოცდილება, მეცნიერებისა და პრაქტიკის ცვლილებასთან მიმართებაში;
- შეიძინოს ახალი ცოდანა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში;
- ფლობდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- საერთო ეკონომიკური ციკლის დისციპლინები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, ფინანსები. სპეციალობის დისციპლინები: დაპროგრამების ენები, ლოკალური და გლობალური ქსელები, მონაცემთა ბაზები, ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების თერია და დაპროექტება, კორპორაციული და ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემები. უნდა ერკვეოდეს ქსელური ეკონომიკის თავისებურებებში.

ფილოსოფიის დოქტორის საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ზოგადი კომპეტენცია მოცემულია დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია ბერგენის კონფერენციაზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის (www.bolgna-bergen2005.no).

საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- თავის საქმიანობაში გამოიყენოს კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- გამოიკვლოს საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემები;
- მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები;
- მართოს საწარმოს (ორგანიზაციის) ინფორმაციული რესურსები;
- ფართოდ გამოიყენოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები და პროგრამული პროდუქტები ისეთი საგნების შესასწავლად როგორცაა ინფორმაციული მენეჯმენტი, მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები, მონაცემების ელექტრონული დამუშავების დაპროექტება;
- დააპროექტოს და დანერგოს ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საინფორმაციო სისტემები;

- შეისწავლოს პროგრამული პროდუქტების ბაზარი და შეარჩიოს საწარმოში(ორგანიზაციაში) დასანერგი პერსპექტიული პროგრამული უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო სისტემების შემშავებასა და დანერგვისას გამოიყენოს მონაცემების მანქანური დამუშავების საერთაშორისო სტანდარტები და საინფორმაციო სისტემების დაპროექტების ავტომატიზაციის თანამედროვე მეთოდები;

• **კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:**

ფილოსოფიის დოქტორის საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული და სახელმწიფო სტრუქტურები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. მათ შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში. დაიკავონ თანამდებობები, რომლებიც მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

• **სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება №23). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები და გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო სტატიები საზოგადოების ინფორმაციზაციის სფეროში.

განსაკუთრებული პირობები:

ინდივიდუალური პროგრამით ჩარიცხულმა დოქტორანტმა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დისერტაცია არსებული დებულების შესაბამისად. ტექნიკური მოთხოვნები გამომდინარეობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია

რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტიზა. სტატიებს შეაფასებენ ექსპერტები საერთაშორისო კრიტერიუმებით. ქულების მაქსიმალური რაოდენობა ერთ სტატიაზე არის 20. სტატიებზე უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში (11–15 ქულა) დოქტორანტს ეძლევა სამი თვე სტატიის გადასამუშავებლად, ხოლო 11-ზე ნაკლები ქულის შემთხვევაში – ექვსი თვე.